თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5197548

ნომერი: AR1788809

თარიღი : 18.11.2020

გაცემის თარიღი : 24.11.2020

გაცნობის თარიღი : 24.11.2020

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ლილოს ბაზრობის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი კვარაცხელია პ/ნ 01024007565
- თბილისი ლ.გოთუას ქ. N 12 ბ. 29

ორგანიზაცია:
- ლილო მოლი კოდი: 208150506

ნომენკლატურა :

- მაღაზია
- II კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 2844524
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 20.09.2016

.არსებობის შემთხვევაში სამსახურის მიერ შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 2844524
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 20.09.2016

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მაღაზია
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: დავითი ცოტნიაშვილი

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს "ლილო მოლი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 208150506
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: გიორგი კვარაცხელია
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01024007565

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 10144.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 96.1
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 58.9
- .კომერციული ფართობი (კვ.მ).: 58.9
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 253.3
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 226.8
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 26.5
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 4.2
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 3.7
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 0.5
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 96.1 (საპროექტო) + 3041.4 (არსებული) /10144=0.3
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 96.1 (საპროექტო) + 3041.4 (არსებული) /10144=0.3
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 721/10144=0.07

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 5030931
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 14.08.2020

.არსებობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 5030931
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 14.08.2020

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ, რომ ატვირთულ დოკუმენტაციაში გამოვლინდა გარკვეული სახის ხარვეზები (ხარვეზის შესახებ ინფორმაცია მითითებულია შესაბამისი ველების გასწვრივ), კერძოდ:

1. .საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, მასშტაბი 1:500. -> .გენერალური გეგმის pdf ფაილი.: განმარტებით ბარათში მითითებულია, რომ კორექტირებით ხდება საპროექტო შენობის ადგილმონაცვლეობა, ხოლო გენ-გეგმაზე ისევ იმ ადგილეა დატანილი. იმ შემთხვევაში თუ ხდება ადგილმოანცვლეობა გენ-გეგმაზე შეიცვალოს საპროექტო ადგილი ან წინააღმდეგ შემთხვევაში შეიცვალოს განმარტებითი ბარათი. ასევე გენ-გეგმაზე საპროექტო შენობაზე მიეთითოს ღერძებს შორის მანძილები. ვექტორული ფაილი შესწორდეს შესაბამისად

აქვე გაცნობებთ, რომ ვინაიდან შეიცვალა საპროექტო შენობის განთავსების ადგილი, საჭიროა წარმოადგინოთ საპროექტო გენ-გეგმა, სადაც დაცული იქნება არსებულ ხე-მენარეებამდე დაცილების 3.00 მეტრიანი მანძილი. წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოადგინეთ ტაქსაცია და საექსპერტო დასკვნა, რომელი სამსახურის მიერ განსახილველად გადაგზავნილი იქნება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში.

2. .არსებული სიტუაციის ფოტოსურათები. -> .ფოტოსურათების pdf ფაილი.: ველში დამატებით აიტვირთოს ის არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათები, რომელზეც დამუშავებულია საპროექტო ფოტომონტაჟი.

3. .შენობა-ნაგებობის ყველა სართულისა და სახურავის გეგმები, მასშტაბი 1:100. -> .გეგმების pdf ფაილი.: გეგმებზე დაიტანეთ საკადასტრო საზღვრები. ასევე საპროექტო პანდუსზე დაიტანეთ გრძივი ჭრილის აღმნიშვნელი ხაზი.

4. .შენობა-ნაგებობის ჭრილები, მასშტაბი 1:100. -> .ჭრილების pdf ფაილი.: დამატებით წარმოადგინეთ პანდუსის გრძივი ჭრილი, რათა მოხდეს მისის დახრის პროცენტულობის გადამოწმება.

5. .საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული CAD ფაილი. -> .საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული ფაილი AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით. : შესწორდეს ყოველივე ზემოაღნიშნულის შესაბამისად

6. ."მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი -> .მოსაკრებელის რიცხვითი მაჩვენებელი: ვინაიდან მშენებლობის ნებართვას გასული აქვს მოქმედების ვადა (ძალაში იყო 2020 წლის 14 ნოემბრის ჩათვლით, ხოლო თქვენს მიერ განცხადება ატვირთულია 2020 წლის 18 ნოემბერს), საჭიროა მოსაკრებლის გადახდა კ-2 კოეფიციენტის მაჩვენებლის შესაბამისად 1 კვ. მ_ზე 4 ლარის ოდენობით.

7. საპროექტო ტერიტორიაზე მოქმედებს სპეციალური შეზღუდვის ასაფრენი ზოლის ზონა, საქართველოს საჰარეო კოდექსის 41-ე მუხლის თანახმად, აეროდრომის რაიონში მიწის ნაკვეთის, შენობის, ნაგებობის, კავშირგაბმულობისა და ელექტროგადამცემი ხაზების და სხვა ობიექტების მფლობელები მათი განთავსებისას ან გამოყენებისას ვალდებული არიან, მათი გამოყენების და ამ ობიექტებით სარგებლობის პირობები აეროდრომის ექსპლუატაციის განმახორციელებელ პირთან შეათანხმონ და შესაბამისი სამუშაოები საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ნორმების დაცვით აწარმოონ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვინაიდან თქვენს მიერ წარმოდგენილი არსებული სიტუაციის ტოპოგრაფიული გეგმით დგინდება, რომ არსებული აბსოლუტური ნიშნული გაცილებით მეტია დადგენილ ნიშნულზე, საჭიროა განთავსების ადგილი და სიმაღლე შეთანხმდეს აეროდრომის ექსპლუატანტთან, შპს "ტავ ურბან საქართველოს"-სთან. აქედან გამომდინარე წარმოსადგენია შპს "ტავ ურბან საქართველოს" მიერ გაცემული შესაბამისი თანხმობა მაღაზიის მშენებლობასთან დაკავშირებით.

8. საპროექტო მიწის ნაკვეთზე ფიქსირდება მილსადენი, მიწისქვეშა წყალმომარაგების ქსელი (საკ. კოდით #01.01.834) მესაკუთრე შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი". საჭიროა წარმოადგინოთ შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"-ს მიერ გაცემული თანხმობა ჩასატარებელი სამუშაოების თაობაზე და შესაბამისი ბეჭდით დამოწმებული გრაფიკული ნაწილი.

გაითვალისწინეთ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე

განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.